


**ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს გადაწყვეტილებათა  
აღსრულება**

**გამოწვევები ეროვნულ დონეზე**



## ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: სალომე ნიკლაური

რედაქტირება: ალექო ცვიტიშვილი, ნინო თლაგაძე



*ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

## სარჩევი

1. შესავალი .....	4
2. ევროკომისიის რეკომენდაცია თუ გარდაუვალი აუცილებლობა.....	5
2.1. საკანონმდებლო ინიციატივა .....	5
2.2. გასათვალისწინებელი ფაქტორები .....	6
3. ევროსასამართლოს როლი და გავლენა .....	8
4. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება .....	9
4.1 ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება საქართველოში .....	10
4.1.1. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	11
4.1.2. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	13
5. დასკვნა .....	15

## 1. შესავალი

2022 წლის 17 ივნისს საქართველოში ახალი რეალობა დადგა. ევროპულმა კომისიამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის განცხადებებზე მოსაზრებები გამოაქვეყნა<sup>1</sup>. ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველოს მათთან ერთად გზის გასაგრძელებლად ჯერ 12 წინაპირობის შესრულება მოუწევს.

საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები ეხება პოლიტიკურ პოლარიზაციას, სასამართლო სისტემას, პრესის თავისუფლებას და ა.შ. რიგით მე-11 რეკომენდაციით კი, ევროკომისიამ მოუწოდა საქართველოს, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები, რათა ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს<sup>2</sup> გადაწყვეტილებები პროაქტიულად გამოიყენონ<sup>3</sup>.

ევროკომისიის მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლის ხაზგასმა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ევროსასამართლო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის<sup>4</sup> სადაჯაროზე დგას. ევროსასამართლოს უდიდესი წვლილი მიუძღვის საბჭოთა მარნუხებისგან გათავისუფლებული საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაშიც.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი და გავლენა საქართველოზე. ასევე, კვლევა წარმოაჩენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისთვის, არამედ საზოგადოებისთვის. თემის აქტუალობა გამომწვეულია ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და ზოგადად ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების სულისკვეთებით.

დოკუმენტი, პირველ ეტაპზე, ეხება ევროკომისიის მე-11 რეკომენდაციის შინაარსსა და მნიშვნელობას, ასევე, მასთან დაკავშირებულ მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებს. მეორე ეტაპზე კი, ყურადღებას ამახვილებს ევროსასამართლოს გავლენასა და გადაწყვეტილებათა აღსრულების მნიშვნელობაზე. ამასთანავე, დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს შემდგომი საქმეების მაგალითზე *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ*<sup>5</sup> და *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ*<sup>6</sup>. ეს გადაწყვეტილებები შეიქმნა იმ სისტემური პრობლემების თვალსაჩინოებისთვის, რაც არსებობს საქართველოში. ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები, ასევე, სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობის, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების დასკვნები და ანგარიშები. ბოლოს კი, ანალიტიკური დოკუმენტი კვლევას დასკვნის სახით აჯამებს.

<sup>1</sup> Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission, [The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status](#) (17 June 2022).

<sup>2</sup> *შემდგომ ტექსტში - ევროსასამართლო.*

<sup>3</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ადამიანის უფლებათა ცენტრის [კვლევა](#) - ნატო რუბანოვი, *ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?* (2022).

<sup>4</sup> *შემდგომ ტექსტში - ევროპული კონვენცია ან ევროკონვენცია.*

<sup>5</sup> *Tsintsabadze v. Georgia*, no. 35403/06 (ECtHR, 15 February 2011)

<sup>6</sup> *Tkheldze v. Georgia*, no. 33056/17 (ECtHR, 8 July 2021)

## 2. ევროკომისიის რეკომენდაცია თუ გარდაუვალი აუცილებლობა

12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთით, ევროკომისიამ საქართველოს მოუწოდა, მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, რათა ეროვნულმა სასამართლოებმა პროაქტიულად გამოიყენონ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის განხილვისას ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ევროსასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რაც შინაარსობრივად რელევანტურია მიმდინარე ამა თუ იმ საქმეზე მსჯელობისთვის. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროკავშირის ინსტიტუტს არ წარმოადგენს და იგი სხვა რეგიონული ორგანიზაციის - ევროპის საბჭოს ნაწილია. თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირმა საქართველოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენებისკენ მოუწოდა. ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს ძლიერი და მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. ევროპის საბჭოს, როგორც ევროპაში სამართლის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამცველის როლი, აღიარებულია ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმითაც<sup>7</sup>.

ევროსასამართლოს მნიშვნელობა საქართველოსთვისაც კარგად ცნობილია. 1999 წლიდან, ანუ მას მერე, რაც საქართველო ევროპის საბჭოს შეურთდა, ქვეყანაში ბევრი სამართლებრივი მექანიზმი დაიხვეწა, მათ შორის, კერძო პირებს მიეცათ საშულება, ევროკონვენციაზე დაყრდნობით თავიანთი უფლებები ევროსასამართლოში დაეცვათ. ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების კუთხით საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში სამოქალაქო საზოგადოებაც მონაწილეობდა.

### 2.1. საკანონმდებლო ინიციატივა

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენებისა და აღსრულების მექანიზმების დახვეწის მიმართულებით, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მუშაობა დადებითად შეიძლება შეფასდეს. ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, იგეგმება ცვლილებების შეტანა თერთმეტ კანონში, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონს.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცვლილებებით მოქმედ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამას, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისა და ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო განათლების პროგრამებს დაემატება ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები და ადვოკატები ისედაც არ იყვნენ შეზღუდულნი, რომ მსჯელობა განევიტარებინათ ევროსასამართლოს პრეცედენტულ

<sup>7</sup> [Memorandum of Understanding](#) between the Council of Europe and the European Union (2007)

სამართალზე, მიმდინარე ცვლილებებით, ამგვარი ჩანაწერი უკვე შესაბამის ნორმატიულ აქტებში შეგვხვდება. აქვე, აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით ხაზი გაესმევა იმ გარემოებასაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ითვლება ევროკონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების ოფიციალურ განმარტებად.

საინტერესო ცვლილებები შედის სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები შეიძლება, დაეფუძნოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მომჩივნის აზრით, უნაღამდევნება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ დარღვევის დადგენა იყო სამოქალაქო საქმის წარმოების განახლების, ხოლო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის საფუძველი. მსგავსი ჩანაწერი არ ვრცელდებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე, რაც მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივით, შეიცვლება.

რაც შეეხება ტექნიკურ ნაწილს, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების აპარატების სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეული, რომლის მთავარი ფუნქციაც მოსამართლეებისთვის ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა იქნება, რაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზსა და ამ მიმართულებით საინფორმაციო და საგამომცემლო საქმიანობებსაც მოიცავს. აღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანი მუშაობა მე-11 რეკომენდაციის პრაქტიკულ განხორციელებაში უდიდეს წვლილს შეიტანს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები/განჩინებები ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში სათარგმნად გადაეცემა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც 180 დღის ვადაში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების თარგმანს. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ასევე, უფლებამოსილი იქნება საკუთარი ინიციატივით თარგმნოს და გამოაქვეყნოს სხვა ქვეყნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების ნორმების მნიშვნელოვან განმარტებას.

## 2.2. გასათვალისწინებელი ფაქტორები

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები საფუძვლიანად ასრულებს ევროკომისიის რიგით მე-11 რეკომენდაციას, რჩება გარკვეული კითხვები, როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე, აღსრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ევროსასამართლო გადაწყვეტილებებს მხოლოდ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე აქვეყნებს<sup>8</sup>, როგორც აღინიშნა, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვალდებულია, საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები თარგმნოს, სხვა პრეცედენტულ გადაწყვეტილებებთან მიმართ მას ეს ვალდებულება არ აქვს. შესაბამისად, იმ დატვირთვის გათვალისწინებით, რაც „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ აქვს, საინტერესოა, რა სიხშირით ითარგმნება ევროსასამართლოს პრეცედენტები, განსაკუთრებით იმ კოლოსალურად დიდი რაოდენობის გადაწყვეტილებებს შორის, რასაც ევროსასამართლო იღებს<sup>9</sup>. სასამართლოებში ევროსასამართლოს პრეცედენტების ანალიზზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რელევანტური გადაწყვეტილებების გამოყენებას, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია, მსგავსი

<sup>8</sup> The European Court of Human Rights, Rules of the Court, Rule 76 (2022)

<sup>9</sup> The European Court of Human Rights, [The ECHR in Facts and Figures](#) (2022)

ინფორმაცია კერძო პირებს ან/და მათ ადვოკატებსაც ჰქონდეთ, რადგან მათ, ასევე, უნდა, შეძლონ თავიანთი პოზიციების დასაბუთება (თუნდაც აპელაციის ან კასაციის დროს) ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებით. ამიტომ მსგავსი დოკუმენტები საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამ კუთხით აუცილებელი იქნება, დამატებითი რესურსის მობილიზება, რათა შეიქმნას გადაწყვეტილებების შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. შერჩევას კი საყურადღებო იქნება, პირველ რიგში, ისეთი გადაწყვეტილებების თარგმნა, რომლითაც ევროსასამართლომ განმარტა ევროკონვენციის ან დამატებითი ოქმის რომელიმე ნორმა და არა უბრალოდ მიუთითა წინა გადაწყვეტილებებზე. არსებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა შეირჩეს ის საქმეებიც, რომლებიც ახლებურად ან განსხვავებულად აყალიბებს გარკვეულ საკითხებს.

ამასთანავე, კვლავ გამომწვევად რჩება აღსრულების საკითხი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებისა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების პასუხისმგებლობა ეროვნულ სასამართლოებს ისედაც აქვთ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო წარმოადგენს სამართლებრივ სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობაც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს<sup>10</sup>. ხოლო ნორმატიული იერარქიის თვალსაზრისით, საერთაშორისო შეთანხმებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე, მაგრამ ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციურ კანონს და კონსტიტუციურ შეთანხმებას<sup>11</sup>. შესაბამისად, მას მერე, რაც საქართველო შეურთდა ევროპულ კონვენციას, ევროკონვენციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს კანონმდებლობაში. ევროპული კონვენციის ნორმებს კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებით განმარტავს და აზუსტებს. ამიტომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი წყაროა ევროკონვენციის ინტერპრეტაციისთვის. ეს პასუხისმგებლობა კარგად აქვს განმარტებული თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც 2016 წელს აღნიშნა, რომ „ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი ხსნიან და განმარტავენ კონვენციის ტექსტს, ისინი სავალდებულო პრეცედენტებია და ამდენად, მოახდენენ თუ არა ხელშემკვრელი სახელმწიფონი (მათ შორის - საქართველოც) კონვენციის რატიფიცირებას, სახელმწიფოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ევროპის სასამართლოს სამართალი უნდა აღიარონ სავალდებულოდ შესასრულებლად“<sup>12</sup>. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები იყენებენ რა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, ამას აკეთებენ ფორმალურად, რაც ზოგ შემთხვევაში არასწორ ან არასრულ მითითებას წარმოადგენს<sup>13</sup>. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსამართლეები ცდილობენ, გაამყარონ საკუთარი არგუმენტები ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე ფრაგმენტული მითითებით, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია, რადგან, ერთი მხრივ, დაინტერესებული პირის უფლებას აყენებს ზიანს, ხოლო, მეორე მხრივ, უფლების განმარტებასთან დაკავშირებით იწვევს სამართლებრივ ბუნდოვანებას.

შესაბამისად, საყურადღებოა, რომ არ შეიცვალოს მხოლოდ კანონმდებლობა და ამ პროცესმა რეალური შედეგი გამოიწვიოს. პესიმიზმის საფუძველს ქმნის ის გარემოებაც, რომ არა თუ ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, არამედ საქართველოს წინააღმდეგ

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4.

<sup>11</sup> საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 7.

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2/13664-15 ციტირებული ნანა მჭედლიძის მიერ ნაშრომში *საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები*, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ (2017) გვ. 10.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 191.

მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაც კი ეროვნულ დონეზე სრულყოფილი არ არის. იმისთვის, რომ გამოწვევები კარგად შეფასდეს, აუცილებელია, ევროსასამართლოს როლისა და მნიშვნელობის განმარტება.

### 3. ევროსასამართლოს როლი და გავლენა

1949 წელს ლონდონში შეკრებილმა ათმა ევროპულმა სახელმწიფომ, დარწმუნებულებმა იმით, რომ მშვიდობისკენ მისწრაფება, „რომელიც ეფუძნება სამართლიანობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას, არის სასიცოცხლო მნიშვნელობის კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადარჩენისთვის“<sup>14</sup>, დააარსეს ევროპის საბჭო. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ევროპის საბჭოს შექმნა წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ ნაბიჯს, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ხორცშესხმითაც გამოიხატა. ევროპის საბჭოს ომისშემდგომი ამბიცია მხოლოდ ამბიციად არ დარჩენილა, და დღესაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ რეგიონულ დოკუმენტს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და კონვენციის დამატებითი ოქმები განამტკიცებს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ევროსასამართლოსგან განცალკევებულად აღქმა სწორი არ არის. 1950 წელს დაწერილი კონვენცია ბუნებრივია, რომ ვერ უპასუხებს ყველა თანამედროვე საკითხს. კონვენციის სტანდარტების დადგენა მხოლოდ ტექსტზე დაყრდნობით რთულია, რადგან დეტალურად არ არის გაწერილი ის ყველა სამართლებრივი ურთიერთობა, რასაც ევროპული კონვენცია ითვალისწინებს<sup>15</sup>. სწორედ ამიტომ, ევროპული კონვენცია, როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტი“ უნდა განიმარტოს თანამედროვე პირობების შესაბამისად<sup>16</sup>. ეს ფუნქცია კი ევროსასამართლოს გააჩნია.

პირველივე მუხლით, კონვენცია მოუწოდებს, ხელშემკვრელ მხარეებს, დაიცვან თავიანთ იურისდიქციაში მყოფ პირთა კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები. კონვენცია უბრალოდ დეკლარაციული დოკუმენტი არ არის. მასზე დაყრდნობით საკუთარი უფლებების დასაცავად ევროსასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ როგორც კერძო პირებს (ფიზიკურ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა ან ცალკეულ პირთა ჯგუფს), ასევე - სახელმწიფოებს. თუმცა, მოპასუხე მხარეს ყოველთვის ხელშემკვრელი სახელმწიფო წარმოადგენს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სწორედ სახელმწიფო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვაზე პასუხისმგებელი. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია, თავი შეიკავოს პირის უფლებაში ჩარევისგან, ხოლო მეორე მხრივ, მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი პირები მესამე პირებისგან. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოიცავს, როგორც სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, ასევე, მის ეფექტიანად გამოყენებას. აქვე, აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოსთვის მიმართვამდე აუცილებელია, ინდივიდს ამონურული ჰქონდეს დაცვის ყველა ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ეხება მთელ რიგ საკითხებს, როგორცაა - გამოხატვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება და ა.შ. ევროსასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს გაკეთებული საქართველოსთან დაკავშირებითაც. მას ნამსჯელი აქვს, როგორც ინდივიდუალურ

<sup>14</sup> ევროპის საბჭოს წესდება (1949)

<sup>15</sup> კონსტანტინე კორკელია, *როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?* გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), ევროკავშირი (2010) გვ. 16.

<sup>16</sup> *Tyrer v. The United Kingdom*, no. [5856/72](#) (ECtHR, 25 April 1978) para. 31.



უფლებებზე, ასევე, საქართველოს საჩივრებზე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ეროვნული სამართლებრივი მექანიზმებით უკმაყოფილო პირებისთვის „რკინის ქალამნების ჩაცმა“ და სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვა საქართველოს იურისდიქციაში მყოფთათვის უცხო არ არის<sup>17</sup>. ევროსასამართლოს 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოსთან დაკავშირებით ჯამში 132 გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი<sup>18</sup>. გადაწყვეტილებების სამ მეთხედში ევროსასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ კონვენციის სულ მცირე, ერთი მუხლის დარღვევა მაინც დაადგინა, საიდანაც ყველაზე ხშირად მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლებია<sup>19</sup>. თუმცა, მხოლოდ სასამართლოს მხრიდან ევროკონვენციის დარღვევის დადგენა მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი არ არის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი მხოლოდ ფაქტებისა და დარღვევის დადგენას არ წარმოადგენს. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს მხოლოდ მაშინ შეუძლია, დადებითად შეცვალოს მომჩივანისა და სხვათა მდგომარეობა, თუ სახელმწიფო ამ გადაწყვეტილებებს აღასრულებს.

#### 4. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, აღასრულონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რაც მათ წინააღმდეგ არის გამოტანილი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით კი, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, დააკისროს სახელმწიფოს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება.

ევროსასამართლოს მხრიდან კონვენციის ან დამატებითი ოქმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფოს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება აქვს, არამედ მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ სახელმწიფო ირჩევს ზოგად ან/და ინდივიდუალურ ღონისძიებებს, რათა აღკვეთოს სასამართლოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობრივი შემთხვევები და შეძლებისდაგვარად აღადგინოს პირის უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობა<sup>20</sup>. არის საქმეებიც, როდესაც ევროსასამართლო სახელმწიფოს კონკრეტული ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს. ამის მაგალითია ევროსასამართლოს პირველი გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით საქმეზე *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ პირდაპირ მოითხოვა მომჩივნის გათავისუფლება<sup>21</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება ძირითადად ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, გარკვეული გადაწყვეტილებები მიემართება შიდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ რეფორმებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დარღვევის ხელშეწყობა გამეორება<sup>22</sup>. ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით კი, სადაც სისტემური ხარვეზი იკვეთება - ე.წ. საპილოტე გადაწყვეტილებების ფარგლებში -

<sup>17</sup> აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს წინააღმდეგ არსებული საჩივრების რაოდენობაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, სასამართლომ 2021 წელს საქართველოს დაკავშირებით 127 საჩივარი განიხილა.

იხ. [https://www.echr.coe.int/Documents/CP\\_Georgia\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/CP_Georgia_ENG.pdf)

<sup>18</sup> European Court of Human Rights, *The ECHR and Georgia in Facts and Figures* (2022) p. 3.

<sup>19</sup> იქვე, p. 4.

<sup>20</sup> *Tsartsidze and Others v. Georgia*, no. 18766/04, (ECtHR, 17 January 2017) para. 98.

<sup>21</sup> *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01 (8 April 2004) 2004-II.

<sup>22</sup> Dia Anagnostou, *The European Court of Human Rights: Implementing Strasbourg's Judgments on Domestic Policy*, Edinburgh University Press (2013), p. 1.

ევროსასამართლო მთელ რიგ რეკომენდაციებს აღგენს<sup>23</sup>, მათ შორის, აქაც საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილებათა აღსრულება ევროსასამართლოს კომპეტენციას ცდება და საკითხი საზედამხედველოდ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა. მინისტრთა კომიტეტი, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისგან იღებს ინფორმაციას კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით<sup>24</sup>. საქმე დაიხურება მხოლოდ მაშინ, როდესაც მინისტრთა კომიტეტი კმაყოფილი იქნება სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებებით და, შესაბამისად, ფინალურ რეზოლუციას მიიღებს<sup>25</sup>. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფო არ ასრულებს მის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია, მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რათა დადგინდეს, ხომ არ არღვევს ხელშემკვრელი სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (46)1 მუხლს<sup>26</sup>.

#### 4.1 ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება საქართველოში

საქართველოში ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უკავია. იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებლობა მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ხელშეწყობას<sup>27</sup>, არამედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემოწმებასა და დამუშავებას ევროკონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით<sup>28</sup>. იუსტიციის სამინისტროს ანგარიშებსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებში ნათლად ჩანს, რომ იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებლობით ეკიდება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს. **საქართველო ვადაში და სრული ოდენობით უხდის მომჩივანს სახელმწიფოზე დაკისრებულ კომპენსაციას. ამას გარდა, სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტები, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, კონკრეტულ საქმეებზე იწყებენ ან/და ანახლებენ გამოძიებას. თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ღონისძიებებს მხოლოდ ერთი მომჩივნის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა შეუძლია და არა ზოგადად სისტემური ხარვეზის გამოსწორება.**

ევროსასამართლოს როლი კი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ერთი მომჩივანის უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორება კი არ არის, არამედ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს პრევენციული ეფექტი და ის დარღვევები, რაც სასამართლომ დაადგინა, სახელმწიფომ აღარ უნდა გაიმეოროს. ამისთვის საჭიროა, როგორც ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა, ასევე, კანონის სათანადოდ გამოყენება პრაქტიკაში. აქვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ევროსასამართლო კმაყოფილია საქართველოში არსებული კანონმდებლობით, მაგრამ იგი პრობლემას ხშირად სწორედ ამ სამართლებრივი ნორმების ეფექტიანად გამოყენებაში ხედავს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები უფრო მეტად მომჩივანზეა ორიენტირებული და არ ასწორებს იმ ხარვეზებს, რაც ქვეყანაში**

<sup>23</sup> Linos-Alexander Sicilianos, *The Involvement of the European Court of Human Rights in the Implementation of its Judgments: Recent Developments under Article 46 ECHR*, Netherlands Quarterly of Human Rights, Vol. 32/3, Netherlands Institute of Human Rights (2014) p. 239.

<sup>24</sup> The Council of Europe Committee of Ministers, Rules of the Committee of Ministers for the Supervision of the Execution of Judgments and of the Terms of Friendly Settlements (amended on 18 January 2017) Rule 9(2).

<sup>25</sup> იქვე, Rule 17.

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950) მუხლი 46(4).

<sup>27</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება, მუხლი 4 (ბ)

<sup>28</sup> იქვე, მუხლი 14 (ე)

არსებობს. ამ ყველაფერს კი, მიყვარათ ისეთ საქმეებამდე, სადაც ევროსასამართლო რამდენჯერმე მსგავს საკითხზე ადგენს სახელმწიფოს მხრიდან უფლების დარღვევას.

#### 4.1.1. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ

2005 წლის 30 სექტემბერს მსჯავრდებული ზურაბ ცინცაბაძე ხონის ციხის საკუჭნაოში ჩამომხვრჩალი იპოვეს<sup>29</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში გამოიკვეთა საექვო გარემოებები (მაგალითად - როგორ შევიდა პატიმარი, როგორც წესი, ჩაკეტილ საკუჭნაოში<sup>30</sup>), საოლქო პროკურორმა საქმე დახურა, რადგან მისი პოზიციით, ზურაბ ცინცაბაძესთან დაკავშირებით არ იკვეთებოდა თვითმკვლელობამდე მიყვანის რაიმე მტკიცებულება<sup>31</sup>. ევროსასამართლომ იმსჯელა არა მხოლოდ გამოძიების ხარვეზებზე, არამედ ხაზი გაუსვა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა იერარქიასა და არაფორმალურ მმართველობას<sup>32</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მომჩივანის სასარგებლოდ სახელმწიფოს 15 000 ევროს გადახდა დააკისრა<sup>33</sup>, რაც იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფომ დადგენილ ვადაში გადაიხადა<sup>34</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ განსაზღვროს, რა ზომებით აღასრულებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, აღნიშნული ზომები თანხვედრაში უნდა იყოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასთან<sup>35</sup>. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ არის წამყვანი საქმე მინისტრთა კომიტეტის მიერ გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქმეებში, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების დარღვევას როგორც არსებით, ასევე, პროცედურულ ნაწილებში, ძირითადად სამართალდამცავების მხრიდან<sup>36</sup>.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებით 2022 წელსაც ჰქონდა მინისტრთა კომიტეტს კომუნიკაცია საქართველოსთან, მათ შორის, მინისტრთა კომიტეტს ინფორმაცია მიაწოდა, როგორც სახალხო დამცველმა, ასევე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე განახლდა გამოძიებები, რომლებიც მიმდინარეობს ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად<sup>37</sup>. როგორც სამინისტრო აღნიშნავს, მთელი რიგი საქმეების გამოძიება წარმატებულია<sup>38</sup>. კონკრეტულად ზურაბ ცინცაბაძის საქმესთან დაკავშირებით კი, მსჯავრდებულია ხონის ციხის იმჟამინდელი ხელმძღვანელი. იგი დაკავებულია სამსახურებრივი გულგრილობის საფუძვლით იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შემთხვევის ადგილზე არ შეუშალა ხელი მტკიცებულებათა განადგურებას<sup>39</sup>. იუსტიციის სამინისტრომ ხაზი გაუსვა რა მტკიცებულებების არქონას, მოუწოდა

<sup>29</sup> *Tsintsabadze v. Georgia*, no. [35403/06](#) (ECtHR, 15 February 2011) paras. 7-8.

<sup>30</sup> *იქვე*, para. 32.

<sup>31</sup> *იქვე*, para. 38.

<sup>32</sup> The Council of Europe Committee of Ministers, Communication from an NGO (The Georgian Young Lawyers' Association (GYLA) and European Human Rights Advocacy Centre (EHRAC)) (21/01/2022) in the case of the *Tsintsabadze group v. Georgia*, DH-DD(2022)141, (March 2022) para. 18.

<sup>33</sup> *Tsintsabadze v. Georgia*, no. [35403/06](#) (ECtHR, 15 February 2011) para. 101.

<sup>34</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) (2022) გვ. 10.

<sup>35</sup> *Proceedings under Article 46 § 4 in the Case of Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], no. [15172/13](#) (ECtHR, 29 May 2019) para. 182.

<sup>36</sup> The Council of Europe Committee of Ministers, H46-12 *Tsintsabadze group v. Georgia*, Supervision of the execution of the European Court's judgments, 1428th meeting (2022) p. 1.

<sup>37</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) (2022) გვ. 7.

<sup>38</sup> The Council of Europe Committee of Ministers, Communication from Georgia concerning the group of cases of *TSINTSABADZE v. Georgia*, DH-DD(2022)143, para. 7.

<sup>39</sup> *იქვე*, para. 46.

მინისტრთა კომიტეტს საქმის დახურვისკენ. თუმცა, მინისტრთა კომიტეტი არ დაკმაყოფილდა არსებული ინფორმაციით და მოსთხოვა სახელმწიფოს, დამატებითი დეტალები გამოძიების შეწყვეტასთან და გარდაცვლილის ახლობლების ჩართულობასთან დაკავშირებით<sup>40</sup>. გასათვალისწინებელია, რომ, მხოლოდ ხონის ციხის იმჟამინდელი ხელმძღვანელის დაკავება ეფექტიან გამოძიებას არ გულისხმობს. გასაგებია, რომ ზურაბ ცინცაბაძის საქმის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ის დარღვევები, რაც ევროსასამართლომ გამოკვეთა, 2022 წელსაც საკმაოდ აქტუალურია. კერძოდ, ხშირად პოლიციელთა მხრიდან ფაქტზე რეაგირება არის დაგვიანებული, ან გამოძიება გაჭიანურებული/არაეფექტიანი. პოლიციელთა მხრიდან პასიურობა, ასევე, რიგ შემთხვევებში უკავშირდება ე.წ. არაფორმალურ მმართველობას პენიტენციურ დაწესებულებებში, რაც ზურაბ ცინცაბაძის საქმის ნაწილია.

პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობა ნაცნობია ადამიანის უფლებათა ცენტრისთვისაც. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები აქტიურად მუშაობენ პატიმართა უფლებებზე და მათ სამართლებრივ დახმარებას უწევენ. ცენტრის იურისტებთან კომუნიკაციისას, პატიმრები ე.წ. არაფორმალურ მმართველობასაც ხშირად უსვამენ ხაზს<sup>41</sup>. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან ერთად 2020 წელს შეისწავლა N8 პენიტენციური დაწესებულება. მონიტორინგის ვიზიტების ფარგლებში, სხვა გამოწვევებთან ერთად (როგორცაა ანტისანიტარია, სასეირნო სივრცეების ნაკლებობა), გამოიკვეთა კრიმინალური სუბკულტურისთვის დამახასიათებელი პრაქტიკა, რაც ვლინდება პატიმართა გარკვეული ჯგუფის მხრიდან სხვების დაჩაგრვასა და თანხის გამოძალგაში<sup>42</sup>. მითითებულ საკითხებზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც, რომლის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემურია არაფორმალური მმართველობა და პრივილეგირებული პატიმრების მხრიდან ბენოლა, რაც ხელშეწყობილია სამართალდამცავების მხრიდან<sup>43</sup>. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ არ არის შექმნილი უსაფრთხო გარემო, რომ პატიმრებმა მიმართონ შესაბამის სამსახურებს ან ითანამშრომლონ გამოძიებასთან<sup>44</sup>. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ასევე, აცნობა მინისტრთა კომიტეტს, რომ ევროსასამართლო *ცინცაბაძის საქმეში* დაეყრდნო რა პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, აუცილებელია, სახელმწიფომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ საკითხის გადასაჭრელად<sup>45</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა 2021 წელსაც გაამახვილა ყურადღება ქართულ ციხეებში არაფორმალური მმართველობის აშკარა ნიშნებზე. პატიმრებმა კომიტეტის წარმომადგენლებს დაუდასტურეს ე.წ. ობშიაკისთვის ფულის შეგროვების პრაქტიკის არსებობა<sup>46</sup>. კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს, გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი არაფორმალური მმართველობის აღსაკვეთად<sup>47</sup>. საქართველოს ხელისუფლების

<sup>40</sup> The Council of Europe Committee of Ministers, H46-12 *Tsintsabadze group v. Georgia*, Supervision of the execution of the European Court's judgments (2022) p. 4.

<sup>41</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ [ანგარიში](#) (2021) გვ. 39

<sup>42</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის [ანგარიში](#) - N8 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში (2020), გვ. 33.

<sup>43</sup> The Committee of Ministers, Communication from an NHRI (Public defender of Georgia) in the case of *Tsintsabadze group v. Georgia*, DH-DD(2022)142, (March 2022), paras. 8-22.

<sup>44</sup> *იქვე*, para. 17.

<sup>45</sup> The Committee of Ministers, Communication from an NGO (The Georgian Young Lawyers' Association and European Human Rights Advocacy Centre) in the case of the *Tsintsabadze group v. Georgia*, DH-DD(2022)141, (2022) paras. 18-33.

<sup>46</sup> The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), [Report](#) to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia (2022) 11, para. 12.

<sup>47</sup> The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), [Report](#) to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia (2022) para. 25.

პოზიციით, ყველაფერი კეთდება პატიმართა მხრიდან ძალადობის პრევენციისთვის და ე.წ. ობშიაკის პრობლემა დღის წესრიგში არ დგას<sup>48</sup>. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ ყურადღების გადატანა ხდება ისეთ საკითხებზე, რაც ამრთა სხვადასხვაობას ნაკლებად იწვევს, როგორცაა - ზიანის ანაზღაურება, ნაცვლად ძირითადი პრობლემების აღმოფხვრისა, რაც რეალურად არ ცვლის სისტემურ ხარვეზებს.

#### 4.1.2. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ

ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის - ოჯახში ძალადობა, სამწუხაროდ, ქართული რეალობის ნაწილია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკით, 2021 წელს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე 88 შემთხვევითი ორდერია გამოცემული<sup>49</sup>. ამასთანავე, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2021 წლის 9 თვეში სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup> (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის) და 126<sup>1</sup> (ოჯახში ძალადობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოტანილია 1650 გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეზე - 1462<sup>50</sup>.

ამის შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც აქვს, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ უკვე რამდენიმე გადაწყვეტილება გამოიტანა<sup>51</sup>. მათ შორის, 2021 წლის 8 ივნისს საქმეზე *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ*, ევროსასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, როგორც არსებითი ნაწილის პოზიტიური ვალდებულების ჭრილში, ასევე, პროცედურულ ნაწილში, ევროკონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში<sup>52</sup>.

საქმე ეხებოდა 2014 წლის შემთხვევას, როდესაც მამაკაცმა ქალი იარაღით მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. მომჩივანი ევროსასამართლოს წინაშე დავობდა, რომ სამართალდამცავებმა, ერთი მხრივ, შესაბამისი ღონისძიებების არგატარების გამო თავიდან ვერ აირიდეს მისი შვილის მკვლელობა და, მეორე მხრივ, ეფექტიანად არ გამოიძიეს დანაშაული<sup>53</sup>. საქმის მიხედვით, მომჩივნის შვილი იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რომლის მიმართ მუქარა და ძალადობა განგრძობით ხასიათს ატარებდა. საგულისხმოა ისიც, რომ მკვლელობისა და იარაღის უკანონო შენახვის ფაქტზე პოლიციამ გამოძიება დაიწყო, რამდენიმე დღეში საქმეს ოჯახში ძალადობის მოტივიც კი დაემატა, მაგრამ გამოძიება მალევე შეწყდა, რადგან ბრალდებულმა შემთხვევის ადგილას თავი მოიკლა<sup>54</sup>.

ევროსასამართლომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შეფასებისას, ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში ზოგადად არსებობს შესაბამისი და ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>55</sup>. თუმცა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რა მსხვერპლისა და მომჩივნის მხრიდან შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის სიხშირესა<sup>56</sup> და სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე, დაასკვნა, რომ პოლიციამ იცოდა ან აუცილებლად უნდა სცოდნოდა იმ რეალური

<sup>48</sup> [Response](#) of the Georgian Government to the report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its ad hoc visit to Georgia, (2022) pp. 7-8.

<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, [ოჯახში ძალადობის სტატისტიკა](#), გამოცემული დამცავი ორდერები - 2021 წელი.

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, [ოჯახში ძალადობის სტატისტიკა](#), სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები - 2021(9თვე).

<sup>51</sup> *Tkheldze v. Georgia*, no. [33056/17](#) (ECtHR, 8 July 2021); *A and B v. Georgia*, no. [73975/16](#) (ECtHR, 10 February 2022)

<sup>52</sup> *Tkheldze v. Georgia*, no. [33056/17](#) (ECtHR, 8 July 2021)

<sup>53</sup> *იქვე*, para. 1.

<sup>54</sup> *იქვე*, para. 20.

<sup>55</sup> *იქვე*, para. 52.

<sup>56</sup> ექვსი თვის განმავლობაში მომჩივანმა და მსხვერპლმა პოლიციისგან დახმარება სულ მცირე 11-ჯერ ითხოვეს. *იქვე*, para. 53.

და პირდაპირი საფრთხის შესახებ, რომელიც მომჩივნის ქალიშვილს ემუქრებოდა<sup>57</sup>. ევროსასამართლომ საქართველოს 35 000 ევროს გადახდა დააკისრა, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობამ დადგენილ ვადაში გადაიხადა<sup>58</sup>. ამასთანავე, მინისტრთა კომიტეტთან კომუნიკაციაში, საქართველომ აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა, საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას ფლობდნენ<sup>59</sup>.

*თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ* არის პირველი<sup>60</sup>, მაგრამ არა ერთადერთი საქმე, რომელიც ნათლად წარმოაჩენს იმ სისტემურ ხარვეზებს, რის წინაშეც საქართველოში მცხოვრები ქალები დგანან. ევროსასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილებაში *A და B საქართველოს წინააღმდეგ* ხაზგასმულია, რომ მიუხედავად კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის საშუალებებისა, სამართალდამცავები არა თუ არ მიმართავდნენ ამგვარ საშუალებებს, არამედ ძირითად შემთხვევაში მსხვერპლს არ აწვდიდნენ შესაბამის ინფორმაციას მისი საპროცესო უფლებებისა და დაცვის სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ<sup>61</sup>. კვლავ გამონწვევად რჩება მსხვერპლი ქალების მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა და ოჯახში ძალადობა კვლავ აღიქმება, როგორც კერძო საკითხი<sup>62</sup>.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ზოგადი ნაბიჯებიდან აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართ დროული რეაგირება და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფაა. სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართალდამცავი პირების მხრიდან ოჯახში ძალადობაზე რეაგირების პროგრესი ხაზგასმულია სახალხო დამცველის მხრიდანაც. თუმცა, სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, კვლავ გამონწვევად რჩება შესაბამისი ინსტიტუტების მიერ მსგავსი ძალადობის შემთხვევების სისტემურობის გამოვლენა და მის ერთიან დანაშაულად აღქმა<sup>63</sup>. ხარვეზები იკვეთება როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე, სასამართლოში საქმის განხილვისას<sup>64</sup>. ხშირად პოლიციელთა მხრიდან ხდება მსხვერპლის დადანიშნულება, მსხვერპლის პოტენციურ მოძალადესთან ერთად დაკითხვა და ა.შ. ხშირია შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო ბრალდებულის მიმართ ავლენს ლმობიერ დამოკიდებულებას და აღკვეთი ღონისძიების სახით უფარდებს გირაოს, რაც ბრდის მსხვერპლზე განმეორებითი ძალადობის რეალურ საფრთხეს<sup>65</sup>. სამწუხაროდ, ქალები საქართველოში თავს დაუცველად გრძობენ, რადგან, 11-ჯერ მიმართავს კი შეიძლება საკმარისი არ იყოს პოლიციის მხრიდან სათანადო რეაგირებისთვის, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ ან არ იცავს მათ სათანადოდ.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) (2022) გვ. 114.

<sup>59</sup> The Council of Europe Committee of Ministers, Communication from Georgia concerning the case of *Tkheldize v. Georgia* (№33056/17) DH-DD(2022)427, 1436<sup>th</sup> Meeting (June 2022) para. 5.

<sup>60</sup> *A and B v. Georgia*, no. [73975/16](#) (ECtHR, 10 February 2022) para. 42.

<sup>61</sup> იქვე, para. 48.

<sup>62</sup> United Nations, [Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia](#) (2016) para. 10.

<sup>63</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, [საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ](#) (2021) გვ. 151.

<sup>64</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, [ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში](#) (2020)

<sup>65</sup> იხ. [„ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებისას მართლმსაჯულების ხარვეზების თაობაზე“](#) (2022)

## 5. დასკვნა

2022 წლის 17 ივნისიდან საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა სხვა ისტორიულ ფაზაში გადავიდა. საქართველოს აქვს კონკრეტულად განსაზღვრული მიმართულებები და რეალური შესაძლებლობა, დაუახლოვდეს ევროკავშირს და მოიპოვოს კანდიდატის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა ევროკომისიის პრიორიტეტების შესასრულებლად დაწყებულია, წინარე გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ხშირად ცვლილებები მხოლოდ დოკუმენტზე რჩება და საქართველოს ჯერ კიდევ იმ პრობლემებთან უნევს გამკლავება, რომლებიც 15 წელზე მეტია, არსებობს.

ევროკომისიის რეკომენდაციებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ქართულ დღის წესრიგში გადმოტანა უბრალოდ ვალდებულების შესრულებას არ უნდა ნიშნავდეს. აღნიშნული ორგანიზაციების თითოეული დოკუმენტი ორიენტირებულია საქართველოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის განვითარებისკენ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს არა მხოლოდ კონკრეტული დამარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, არამედ დადებითად შეცვალოს ზოგადი გარემო. თუმცა, ამას, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველო, როგორც ევროკონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფო, პატივს სცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, სახელმწიფო დროულად იხდის დაკისრებულ ფინანსურ კომპენსაციას და აწვდის ინფორმაციას მინისტრთა კომიტეტს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საკითხები, რაზეც ევროსასამართლომ საქართველოს დარღვევა დაუდგინა, აღარ მეორდება. პრობლემების გადაჭრისთვის აუცილებელია სისტემური ხარვეზების, პირველ რიგში, აღიარება და შემდგომ კომპლექსურად გადაჭრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურად და ზედაპირულად ასრულებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად აკვირდება რა მიმდინარე პროცესებს, დადებითად აფასებს ევროკომისიის რიგით მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. ორგანიზაცია, აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივაზე, რომელმაც წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე გახდეს ევროსასამართლოს მხრიდან გამოვლენილი დარღვევის ფაქტების გამოძიება<sup>66</sup>, რაც, ასევე, იქნება მისასალმებელი, თუ, რა თქმა უნდა, გარანტირებული იქნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა, რა თქმა უნდა, არის უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯი. ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს შედეგის მომტანი მთელი საზოგადოებისთვის, რადგან, თუ სამართლებრივი ჩარჩოს ცვლილება პრაქტიკაში შედეგს არ მოიტანს, ცინცაბაძისა და თხელიძის გვარს კიდევ უამრავი გვარი დაემატება.

<sup>66</sup> სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს წინადადებებით [მიმართა](#), (2022)